დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №18
2019 წლის 6 სექტემბერი

ქ. დუშეთი

„საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მიზნებისთვის დუშეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ცალკეული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივნისის №20 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის პირველი, მე-2 პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის და „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“ საქართველოს კანონის 63-ე მუხლის შესაბამისად, დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ მიზნებისთვის დუშეთის მუნიციპალიტეტის დასახლებული პუნქტების ცალკეული ტერიტორიების განსაზღვრის შესახებ“ დუშეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 5 ივნისის №20 დადგენილებაში შეტანილ იქნეს ცვლილება (matsne.gov.ge. 09/06/2015, ს/კ 010250000.35.152.016227) კერძოდ:

ა) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №1 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №1

დუშეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული პუნქტების იმ ტერიტორიების ჩამონათვალი, სადაც არ ფუნქციონირებს მუნიციპალური ნარჩენების შეგროვების და გატანის სისტემა

1. გრემისხევის ადმინისტრაციული ერთეული;
2. ხეობის ადმინისტრაციული ერთეული.”

ბ) დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 შეიცვალოს და ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დანართი №2

დუშეთის მუნიციპალიტეტში დასახლებული პუნქტების იმ ტერიტორიების ჩამონათვალი, რომლის დაბინძურება გამოიწვევს საქართველოს კანონის „ნარჩენების მართვის კოდექსი“ 33-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ პასუხისმგებლობას

ქალაქი დუშეთი	
დაბა ჟინვალი	
სოფელი ანანური	ანანურის ეკლესიის მიმდებარე ტერიტორია
დაბა ფასანაური	სტალინის ქუჩა
	რუსთაველის ქუჩა

	კოსტავას ქუჩა

”

მუხლი 2

დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დუშეთის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ინაშვილი